საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-103

15/02/2022

ქ. თბილისი

„შპს „გუმი“-ს გაჯის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №ი-802 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2022 წლის 14 იანვარს სამინისტროს მომართა შპს „გუმის“ გენერალურმა დირექტორმა და ითხოვა 2014 წლის 19 დეკემბერს გაცემული №60 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „გუმის“ გაჯის წარმოებაზე (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №32) გაიცა №60 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

შპს „გუმის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „გუმი“-ს გაჯის წარმოებაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის №ი-802 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გუმს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გუმის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი